

მზი

№ 15
წელიწადი
მარტი
1914

წლიურად 7 მანეთი
ნახევარი წლით 4 მანეთი
თვითწლით 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-
ნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და-
ნარჩენი კიდევ ნაწილწლით. საზღვარგარეთ წლიურად
14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვითწლით 6 აბაზი.

სამშაბათი, 21 იანვარი.
მისამართი: Кутаись, редакция газ.
„ЕРИ“
Ивановская, д. Чилалдзе.

საქართველოში გაზეთი ტელეფონი № 149.

საქართველოში საკონსტიტუციო და სალიტერატურული გაზეთი

„მზი“

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის

გაზეთში ახლა მონაწილეობას მიიღებენ წყნარად მშობლები, პედაგოგები, კერძო და სახელმწიფო.

ერთი წლით	7 მანეთი.
ნახევარი წლით	4 მანეთი.
ერთი თვით	4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის	1 შაური.

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილად შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ იანვარს—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურად ღირს 14 მ., 1/2 წ. — 8 მ., თვითწლით 6 აბაზი.

საფოსტო მასშტაბის და საფოსტო უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურად 3 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვითწლით 3 აბაზად. მისამართი რედაქციასა და კანტორას: Кутаись, редакция газ. „ЕРИ“ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს დასაკვეთი ფულიც და სხვ. ივანოვის ქუჩა.

ქვემოთ იღივით სიმონის ასული მესხისა, მამა ონისიძე ვასილის ძე მესხი, დედა ეკატერინე, თეო. ანტა და თეოდო და სიმონი ექვთიმე პავლეს ძე კვიცარიძე და ილია იოსების ძე იაშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

ლუკა ვასილის ძის მესხის

გადაცვალებას. უკანასკნელი ტირილი და დაკრძალვის ღმრთი სოფ. ბორონის მაცხოვრის ეკლეს. სასაფლაოზე დანიშნულია ხუთშაბ., 23 იანვარს.

„რადიო“

ორშაბათიდან, 1914 წლის 20 იანვრიდან ახალი დიდი პროგრამა.

I.

კატა-შურნალი.

სენსაციური სურათი.

II.

დღელი განვლილ სიტყვებზეთა.

ძლიერი ღრამი 3 ნაწილად, „რუსული ოქროს მხატვრული სურათიდან“ საიმპერატორო თეატრების მსახიობთა.

3. მაქსიმოვისა და ა. პოლკოვის

მონაწილეობით.

1-ლი ნაწილი: შემადგენელი გეგმარტება. 2-რე ნაწილი: ანგარიში გასწავლულია.

III.

ნუ გოცნით მოსამსახურე გოგოს.

მხიარული კომედია ორ ნაწილად.

მაქს ლინდერის მონაწილეობით.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 23 იანვრიდან, კინე-რომანის მოთხე სერია

ფანჯრისა

4 ნაწილად.

1914 წლის 2 იანვრიდან 2 января 1914 года

ქუთაისში, კირაკოზოვისა და ოგანოვის ქუჩის კუთხეში, ახლა გაიხსნა კონტორა

ნოტარიუსის 3. პ. კოკოჩავისა. НОТАРИУСА В. П. КОКОЧЕВА.

18 დეკემბრიდან დაიწყო ხელის მოწერა

ია ეკლესიის (ი. ცინცაძის) მოთხოვნითა მეორე ტომის გამოცემად წიგნი შეიცავს 400—500 გვერდს დარბაზული ექვთიმე ავტორის სურათი, ფაქსიმილე და კრიტიკული განხილვა.

წიგნი გამოიცემა ავტორის ხელმძღვანელობით სუფთად და ლაპაზით. ხელის მოწერა მიიღება ბზ-ს ქ. ოცულის, თ. მთავრიშვილის, ი. კვიცარიძის, „პროვინციის“ წიგნის მაღაზიებში და კერძო ავტორებთან.

ფასი ხელის მოწერათვის ერთი მანეთი. მიწერ-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შემდეგის მისამართით; ქუთაისი, კათალიკე-თა ქუჩა, სახლი ხოჯევანოვისა.

გამომცემელი ა. ცინცაძე.

ქუთაისის სადგომამდელი სათავად-აზნაურო ბანკის

ზედამხედველი კომიტეტი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ სსენებული ბანკის რწმუნებულთა ამომრჩეველი კრება წესდების მე 80 მუხლის ძალით ქალაქს ქუთაისში ბანკის სადგომში დანიშნულია:—პირველი რიგის რწმუნებულთა—25, მეორისა—26 და მესამისა—28 თებერვალს 1914 წ., დილის 9 საათ-ზე. მასთან ამავე წესდების მე 84 მუხლის შენიშვნის თანახმად, კრება კანონიერად ჩაითვლება, რა რიცხვიც არ უნდა გამოცხადდეს ამომრჩეველებისა.

ქუთაისი. თ. მთავრიშვილის და ახ. წიგნისა და საუცურობო ნივთების მაღაზიაში

იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულსა და რუსულ ენაზე შედგენილი, მაღაზიას მუდმივ მოსდის ახალ-ახალი რუსული და ქართული წიგნები, როგორც რუსეთის ცნობილი ფირმებიდან, ისე საქართველოს ყოველი ქალაქიდან—დაბეჭდვისთანავე. პროვინციის მოთხოვნილებას მაღაზია დაუფრთხილება აქაყაფილებს. მაღაზია ღმრთილად ხელის მოწერას ყველა რუსულსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთზე.

ქუთაისი პირველი კერძო სამეცნიერ-საქვეყნო სპეციალისტი აქიმიები.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რედაქციის სახლი თეთრ ხეივანზე. ავტომოყვების მიიღებენ ყოველდღე:

ა. ა. შანგა—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული.	1—2
ბ. ს. ნაღარაძე—შინაგანი და ბავშვის	10—12
ვ. ა. რედაქცია—დისტაქტორი, ქალთა, საბავშვო	11—12
მ. დ. ბუთხაძე—კანის, ათამბეგი, ვენერ.	12—2
გ. ა. ჯოდუშვილი—საბავშვო, ქალთა და შინაგ.	12 1/2, 2

ს ა ლ ა მ ო თ .
გ. დ. ქარაშვილი—თვალის 4 1/2—5 1/2
გ. ა. ჯოდუშვილი—საბავშვო, ქალთა და შინაგ. 5 1/2—6 1/2
სამეცნიერ-საქვეყნო მოწყობილია სააქ.—საანატოლი კანაქი: სისხლის, შარ-ლის, ნახელებისა და სხვ. შესამოწმებლად. ძირის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტაციურად. არის ცალკე ოთახები მძიმე ავთომოყვებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტად. აქიმა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53
სამეცნიერ-საქვეყნო—გ. ა. ჯოდუშვილი. წ.

ქ. ქუთაისში გაჭრის-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მუდმივ საბუღალტერო პურსები გ. გ. გიგინეიშვილისა

15 იანვრიდან იხსნება მეორე-პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწოდებით, ანუ შესაფერ კანდიდატ შეიქცეს რუსულსა და არითმეტიკაში. კურსი ათ თვითია. სწავლას ფული არა მანეთი. თბილისში მიიღება ყოველდღე კურსების კანცელარიაში.

როგორც ვიცით, გასულ წელს აბრეშუმის თესლი ბაზარზე საზოგადოებრივად იყო. წელსაც, როგორც სტატისტიკური ცნობებიდან ჩანს, თესლი შარშანდელზე კიდევ უფრო ნაკლებია. შარშან ბევრმა ჩვენმა მყიდველმა გვისაყვებოდა, თუ რატომ არ გავიგებთ, ან თესლი არ შეგუნა ხეთ, ამიტომ ყველა

პასხალი დის აბრეშუმის თესლის

მყიდველთა საყურადღებოა ამით ვაცხადებთ, რომ მათ თესლი ამთავითვე დაბე-ვონ, ვინაიდან თესლი დაუბეგვრლად არავის შეგუნა და, მაშასადამე, ბოლოს საყვედურიც უადგილო იქნება. ჩვენი ადრესი: ბათუმი, მარინსკი პროსპექტი, საკუთარი სახლი 10.—ერთადერთი წარმომადგენელი პასხალის აბრეშუმის თესლის ბათუმის, ქუთაისისა და თფი-ლისის-გუბერნიებში შთაე გაბრუნების ძე რუსმაძე.

აქიმი ა. თ. აქიმიშვილი. ღმრთილად ავტომოყვებს. შინაგანი, ვენერული, კანის) ვიტუ-შინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეფონის შესახვევში. თ.

აქიმი ი. ჩარეჭილი იღებს კანისა და ვენერულ ავთომოყვებს მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავთომოყვ-შია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

აქიმი დ. ჯაფარიძე იღებს შინაგა-ნის, ბავშვების, ავთომოყვებს ქუ-ლის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავთომოყვებს. თფილისის ქუჩა სახლი ნი-ეარძისა.

ქართული პრესა.

ამ უკანასკნელ დროს ჩვენი საზოგა-დობა და პრესაც ჩვენში ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინების სამეცნიერ-ტყვევლდენ. ეკონომიურად გაღონიერე-ბა ბევრ სიყვარულს გვიქადის, ცხადია, და გაზეთებში ხშირად შეხედებით ამ საგნის თაობაზე წერილებს. გაზ. „ქალის“ უკა-ნასკნელ ნუმერში ბ. თავისუფალი მე-თვალყურე სწერს.

„ქართულებს ნივთიერი ხელმოკ-ლეობა დიდხანა საგნობრივი შეიქნა, და რომ ეს ხელმოკლეობა ძალიან უშლის ქართველებს რაიმე წარმოებას მოკიდონ ხელი—ან თავის მამულისას, ან ვაჭრობა-მრეწველობის საქმეს,—ამაზედ ჩვენს საზოგადოებაში უმეტეს ხშირი ლაპარაკი და წუხილი გაისმის. მაგრამ მწერლობა კი ამ საგანზე ლა-პარაკს როგორღაც მოარიდებულა. იმაზე სჯა-ბაას, თუ რა ღონისძიებაა საჭირო, რომ ჩვენში წარმოებაში გაი-ღვიძოს, ვაჭრობა-მრეწველობა აღორ-ძინდეს და განვითარდეს, არა გვეო-ნია, ჩვენი ცხოვრების ქირ-ვარაშხე მოსაუბრე მწერალთა შორის, გადავვა-რების გზაზე დამდგარა ვარდა,—ზოგი მაინც საჭიროთ არ სთვლიდეს და ისიც შეგნებული არა ქონდეს, რომ სხვისა ხელით და ჯიბით მოწყო-ბილი წარმოებით სარგებლობა თანდა-თან უფრო დააქვეითებს ქართველების ნივთიერი ძალის, ხოლო ეს დაქვეითე-ბა ერის კეთილდღეობისა და განვითარე-ბის წარმატების დამაბრკოლებელ ზღუდელს უფრო მძლავრად აღემატე-ბა წინ. რაღა თქმა უნდა, რომ ხელ-მოკლეობა და მისი პირში შეილი უწარმოებლობა მიზეზი, რომ ქარ-თელების პატარა და დიდი მამული, საკუთრებათ თუ საწარმოებლათ უკ-ხოვლებს ხელში შეუფერხებლათ გა-დადის.

ამ მოვლენას მწერლობა მწუხარებით თუ აღნიშნავს ხოლმე, თვარა იმაზე ლაპარაკს, რითი შეიძლება მამულების სხვისა ხელში გადასვლის შეგავება, ანუ მათი პატრონებისაგან საკუთარი ძალღონით წარმოება, ვაჭრობა-მრე-წველობის აღორძინება და განვითარე-ბა და საზოგადოებრივი ნივთიერი გა-ძლიერება, ამაზე ლაპარაკს ჩვენი მწე-რობა თითქმის ერიდება კიდევცა...

ვაჭრობა თავისი ბუნებით ეროვნე-ბის გაქვეითებას იწვევს. ის მოვარე-წარმოებაში, ვისაც ბევრი მუშტარი ყავს (ეროვნების განუყოფლად) და ბევ-რი მუშტარი იმასა ყავს, ვისაც ბლო-მით საქონელი აქვს (შეშუდი). მარტო იმისთანა ვაჭარს შეუძლიან მუშტარის მიზიდვა და მით ვაჭრობის გაფართოე-ბა, ვისაც მუდამ მრავალგვარი, ახალი და სალი საქონელი აქვს, პირდაპირ მწარმოებლისაგან მოსდის და მით ღო-ნე ქმლვეა შედარებით ხელმისაწვდ-ფასათ მიწოდის მყიდველს. ხოლო ეს ღონე მხოლოდ იმ ვაჭარს ძალუძს,

დ ღ ი უ რ ი

ვისაც ვაჭრობისთვის საკმაოდ საკუთარი თანხა აქვს, ანუ ამ თანხის მიცემით საკრედიტო დაწესებულებები (ბანკები) ხელს უწყობენ.

სომხების ვაჭრობას ჩვენში სწორედ ბანკებით უდგას სული და თანდათან წარმატებაში შედის—როგორც ახალ მოგვარებაში გამოვლინებით, ისე არსებული გაძლიერებითა. მათგან ნახევარი მაინც გარეშე ხალხია, არც ეგოღები არამდ საკუთარი თანხის პატრონები არიან; სამედიკოთი იმათ ხელის შემწყობათ ოთხი საკუთარი და ორიც უცხო ბანკი აქვთ თბილისში. კომერციული ბანკი და ორიც საერთოერთო ნდობის ბანკი მათი ვაჭრობის გასაძლიერებლათ არის დაფუძნებული. ვინც დაკვირვებით, იმისთვის ცხადია, რომ რაც ეს ბანკები გაჩნდნენ, სომხების ვაჭრობა მას აქვთ უფრო გამრავლდა და გაძლიერდა, და გარეშე ალაგებიდანაც თფილისის მას აქვთ მოაწვია მრავალი უცხოელი სომხები ვაჭარი, ამ ბანკებმა ისიცა ქნეს, რომ თფილისსა და თფილისს გარეშეც ბევრი დიდი სამრეწველო ქარხანა დაფუძნდა, საქმეს მრავალი მუშახელოსანი აწარმოებენ და თითქმის სულ ქართველების მასალის შემუშავებით მდიდრდებიან.

ქართველი ვაჭარი სულ სხვა გარემოებაშია. იგი თავისი პატარა ჯიბის ანაბარათ არის მიტოვებული, ის ხელის შემწყობათ აქვს უფრო ყოფილია ბანკი და არც ახლა არას. ამ გარემოებაში კი ქართველების ეროვნული გრძნობით გამსჭვალვა ენაფერს ვერ უშველი. რომელ ქართველსაც კი თავისი საკუთარი თანხით ძველდნენ ფეხი მოუკიდია, აქ ფართოდ ვაჭრობს, და თუ ფული დასჭირდა, უცხოელ ბანკებშიც აღვილიათ იშვიათი. მაგრამ რა უნდა ქნას ქართველმა წვრილფეხმა ვაჭარმა? მეტა რა ღონე აქვს საღმე განაპირა ადგილებში უნდა დაიწყოს ვაჭრობა, მეორე-მესამე ხელიდან ცოტაობით ზოგი რამ საქონელი აიღოს და სხვებთან შედარებით ძვირად გაყიდოს. რაც უნდა ეროვნული გრძნობა ავამოძრაოთ, რაკი იმისთანა ყოველგვარ საეჭიროს ვერ ვიშოვით და რასაც ვიშოვით—მღარეს და ძვირით მეტი რა ღონეა ისევ ბანკებისგან ხელშეწყობილს დიდ ვაჭარს სომხებს უნდა მივმართოთ და იმას მივსცეთ მოგება.

დიად, ვაჭრობის გასაძლიერებლათ შეიძლება კი არა; საღმე-მიც მო თანხით ხელის შემწყობი ბანკი საჭიროა.

ბუგარინის თავად-ახანაშთა წინამძღოლის თათუიჩა.

ამ დღეებში ახლად გუბერნიის წინამძღოლათ დამტკიცებულმა თავადმა დავით ოტისძემ ნიჭიარაქმ სახანაშთა გიმნაზიის დარბაზში მოიწვია ქუთაისში ამ ეამით მყოფნი თავად-ახანაშთა, ინტელიგენციის ვაჭრებისა და ებრაელების წარმომადგენელნი. თათუიჩის ორასამდი კაცი დაესწრო. 8 საათზე წინამძღოლმა თათუიჩის დაწყება გამოაცხადა და მოიწვია დამსწრენი თავისი აზრი გამოეთქვათ ჩვენში მომწიფებულ სხვადასხვა საკითხისა და საქაროების შესახებ. სხვათა შორის, თავისი შესავალ სიტყვაში მან აღნიშნა: ამ ბოლო ხანებში ჩვეულებათ გადმოვიქცა, რომ უმეტესათ ზოლიტიკური მწრამსი უნდა გამოსთქვა. სახელმწიფო საბჭოს წევრის ასარჩევათ რომ ვიგზავნებოდი ჩვენი გუბერნიის თ. ახანაშთაგან, იქაც კი შემოიხიზნებოდნენ ხოლმე თქვენი „ერეკლი“ სთქვითო. აი ამ დღეებში მე შევედგე ჩემი მოვალეობის ასრულებას და უპირველეს ყოვლისა, თქვენ მოგმართეთ. დღეს აქ მოვიწვი ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა წრის ხალხი და მინდა მათი აზრი გავიგო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა საკითხის შესახებ. ეს აზრი დაედება საფუძვლათ ჩემს მოქმედებას. უპირველეს ყოვლისა მე ქართველი ვარ და ჩვენს ეროვნულ ინტერესებს ყველაფერზე მაღლა ვაყენებ. აი, ბატონებო, ჩემი კრედიტო. მე, რასაკვირველია, პოლიტიკის გარეშე ვდგავარ, მაგრამ ეროვნული საქმისთვის არაფრის წინაშე არ დავიხვეწიკობ, ყოველი ქართველი რა მიმართულებასაც უნდა ეკუთვნოდეს, უპირველეს ყოვლისა, სამშობლოს სიყვარულით არის გამსჭვალული, თუ სიტყვით არ ამბობს გულში, უმეტესია, მაინც გრძნობს, და, აი, ამ სამშობლოს სიყვარულმა ყველა უნდა შეგვაერთოს. თუ მეტიც საზოგადოებრივი აზრი ზურგს გამიმარგებს, მერწმუნეთ, შეიძლება, რამე გაკეთდეს წინამძღოლის სიტყვის შემდეგ დიდი პაუზაა, არავის სურს მუუდრობა დაბარდვით. ბოლოს სიტყვას თხოულობს და. ბაქაძე. ის მაღლობს უძღენის წინამძღოლს ამ თათუიჩის გამართვისთვის, აღნიშნავს, რომ მან მოიწვია არა მარტო თავად-ახანაშთა, როგორც აქამდე ხდებოდა, არამედ ყველა წოდებისა და წრის წარმომადგენელი. სხვათაშორის, ორატორი იმას მიაქცევს ყურადღებას, რომ ეროვნული უმეტესობა, რასაკვირველია, ყველა ქართველს შეაერთებს. ამ მხრით აქ გამოასრკვევი არაფერია; ყველამ ვიცით, რა ესა-

ჭიროება დღეს ჩვენს ქვეყანას. ეს ოცი, ოცდაათი წელიწადია ერობისა და ნაცი მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შემდეგ მრავალჯერ აღგვიძრავს შეამდგომლობა. ახლაც საჭიროა ასეთი შეამდგომლობის აღძვრა. კიდევ მრავალი საჭირო მოთხოვნები, რომელსაც დაუყენებლათ სჭირია განხორციელება. როგორმე უნდა საშვალება გამოვნახოთ, სახსარი ვიშოვოთ. დ. ბაქაძეს შემდეგ ილაპარაკა გ. წერეთელმა. მან წამოაყენა მთელი რიგი საკითხებისა: სასოფლო სამეურნეო და სამელოარაკიო ბანკის დაარსება, ერობა, ნაცი მსაჯულთა ინსტიტუტა და სხვა. თავ. მ. ჟაღაყ: დიდხანია, რაც ჩვენი ქვეყანა იმათი პირით, ვისაც უფლება აქვთ ლაპარაკისა, თ. ახანაშთა კორპორაციის საშვალეობით თხოულობს იმ რეფორმებს, რომელიც ნახევარი საუკუნეა რუსეთში შემოღებულია. დღეს ორმოცდათი წლის იუბილესაც კი დღესასწაულოვნად ამ დაწესებულებათა, მაგრამ არ იქნა და მან ჩვენში ვერ გადმოაბიჯა. ჩვენ დღემდე არ გვეღირსა ის, რაც რუსეთის შიდა გუბერნიების მცხოვრებთ აქვთ. ბ. ბო, როგორიც უნდა იყოს ერობა, თუნდაც ისეთი ნაციონალიზაციებით, რომელზეც დღეს რუსეთში ყველა უთითებს, ჩვენთვის ის მაინც დიდი ბედნიერება იქნება. უმჯობესია ის თანხა, რომელსაც საერობო გადასახადი ეწოდება, ადგილობრივ მკვიდრთაგან არჩეული დაწესებულების ხელში იყოს.

მე სხვაზე ნაკლებათ არ ვხდავ, რა ნაციონალიზაციებაც აქვს რუსეთში საერობო ორგანიზაციას, მაგრამ ღრმად მწამს და, მგონია, ყველა დამეთანხმება, რომ როგორი ერობაც არ უნდა მოგვცენ ყოველ შემთხვევაში იმას მაინც ემჯობინება, რაც დღეს არის.

ავიჩიოთ დეპუტაცია და გავგზავნოთ აღმოსავლეთ საქართველოს თავად-ახანაშთა წინამძღოლთან მოსალაპარაკებლათ, რომ ორივე გუბერნიის თ. ახანაშთაგან ერთად აღძრას შეამდგომლობა შემოაღნიშნულ რეფორმათა შემოღებისათვის. ამას უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება. ამ წინადადებას ეთანხმება გუბერნიის წინამძღოლი და მთელი კრებაც.

დეპუტაციაში შევლენ ყველა მხრის წინამძღოლები, მაგრამ საჭიროთ იცნეს სხვე წრეებიდანაც აირჩიონ.

ერთხმით აირჩიეს ქალაქის მოურავი. მ. ჩიქოვანი, ვ. წერეთელი; გრ. გმელისანმა და ე. გეგეჭკორმა დეპუტაციაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

ბ. გეგეჭკორმა სთხოვა კრებას—ისე

— საბერძნეთსა და რუმინიას შორის შეთანხმება მოხდა.

— სომხეთში რეფორმების შესახებ მოლაპარაკება დასრულდა.

— ხილში ფაშა პეტერბურგში ოსმალეთის ელჩათ დანიშნა.

— ვენაში დეპუტატთა პალატის ჩეხელთა ობსტრუქციის გამო არაფერი გაუკეთებია და ამის გამო მთავრობამ პალატის სხდომები შესწყვიტა.

— შახის შტატში (აშერკა) წყალდენობის დროს არაერთი ადამიანი დაიღუპა.

— სათათფიროს თავადომარე რომანკო თავდობილია ქაქის სანჯიქში.

— სოც. დემოკრატებს სათათფიროში შეკითხვა შეეკათა ადმინისტრაციის მუშათა დასწევების საქმეში უკანონო მოქმედებებზე.

— ბულგარეთში საარჩევნო კამპანიამ მწვავე ხასიათს ღებულობს.

სხალი ამბავი.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისგან ქალაქის საბჭომ მიიღო ცნობა, რომ ამ ეამით განზრახულია რამდენიმე საშვალო სასწავლებლის გახსნა კავკასიის სხვადასხვა ადგილას. სასწავლებლები გაიხსნება 1915 წლის 1924 წლამდე. ერთერთს შესაფერ პუნქტათ, სადაც მეორე რეალური სასწავლებლის გახსნა სასურველია, ქუთაისის აღნიშნული. ხსენებულ სასწავლებელს ესაჭიროება ხარჯები: 1) ბინის დასაქირავებლათ, 2) შესანახათ, 3) მოსაწყობათ, 4) საკუთარი შენობის ასაგებათ. თუ საკუთარი ბინა არ იქნება, საჭიროა ბინის დაქირავება და საკუთარი შენობისთვის აღგობის შექმნა. განზრახული რეალური სასწავლებლის შესანახათ ქუთაისში საჭიროა წლიურათ 134,075 მანეთი. ერთდროულ მოსაწყობათ—20,000 მანეთი და შენობის ასაგებათ—170,000 მან., რაც მეტი იქნება შეწირულობა ადგილობრივი საზოგადოების მხრით სასწავლებლის დასაარსებლათ, მით უფრო დაჩქარდება სასწავლებლის გახსნა.

ოლქის მზრუნველი სთხოვს ქალაქის საბჭოს, რაჟა ამ უკანასკნელმა შეატყობიოს მას, თუ იგი რამდენ ხარჯს იკისრებს და ყოველივე ცნობა წარუდგინოს არა უგვიანეს 1 თებერვლისა.

ახალი საეკონომიკო ბანკის აქციები საორგანიზაციო კომიტეტის გუშინწინდელ კრებაზე შეუქმნია კიდევ ვაჭრებს 80,000 მან. როგორც ჩანს, ქუთათური ვაჭრები ალდოს ახლა იღებენ თავისი ინტერესების და საქმეების გასაღონიერებლათ. ეტყობათ, ივნებენ,

რომ ასეთი ბანკის საშვალეობით შექმნიან მძლავრ ძალას ჩვენში ვაჭრობა-მრეწველობის ასაღორძინებლათ.

რაქა-ლენჩუპის მიმავალ სამხედრო გზაზე დილერები დიდი თოვლის გამო მხოლოდ ქრებალომდო მიდი-მოდის. ონამდი კი საქვეითო და საცხენოსნო გზა არის გახსნილი. გავთების კანტონა „ნიმერეთშიც“ ამის გამო 1 იანვრიდან ვერ მოაწყო დილერებზე რაქა-ლენჩუპში გასაგზავნი გავთების სასოფლო ფოშტის ყუთები, რაც მას უკვე ზნათ აქვს კიხანია. ონამდი როგორც გაიხსნება დილერების გზა, იმერეთა-ს სასოფლო ფოშტაც დაიწყებს მოქმედებას და მერე ამ კუთხის მცხოვრებლებს ყოველდღე შეეძლებათ ჟურნალ გაზეთების მიღება ქუთაისიდან ონამდი არსებული 7—8 სადგურებზე. დღეს კი ფოშტით ორჯერ მიდის ყოველგვარი კორესპონდენცია ამ მხარეში, რაც ძლიერ აბრკოლებს ჟურნალ-გაზეთების ამ მხარეში გავრცელებას.

23 იანვრიდან ქუთაისის თეატრში დაიწყება გასტროლები კორპის თეატრის პრემიერის რამზან-ვისა. წარმოდგენილი იქნება მისივე პიესა „ხელიმ-ხანი“ და „ქაჯი“ მისივე ადგილების ფსი მომართულია.

რედაქციამ მიიღო სამაწველო ჟურნალის „ნაკადულის“ 1 ნუმერი იანვრისა. ნუმერი შინაარსიანია.

წლის 20 წელიწადი სრულდება, რაც ჩვენი ბელეტრისტი იაკვალაძე-ცინცე სამწველო ასპარეზზე გამოვიდა.

28 იანვარს, თფილისში მსახიობ კ. დ. ყიფიანს გადაუხდიან სასცენო მოღვაწეობის 45 წლის იუბილეს, საჭიროა ქუთაისის საზოგადოებამაც ფიქროს ჩვენი სცენის პიონერის მოღვაწეობას აღნიშვნის შესახებ. ალბათ ქუთაისის დრამატული საზოგადოების გამგეობა იკისრებს ქუთაისში ამ დღესასწაულის ღირსეულათ მოწყობას.

პუბლიცისტური ესკიზები.

საზოგადოებრივი თვითმოქმედება.

ბრატო არის, რომ რუსეთსა და სხვა თანამედროვე განათლებულ სახელმწიფოთა შორის ერთობ დიდი განსხვავებაა თუ გონებრივი და თუ პატრიოტული კულტურის მხრით? მართალია, ისტორიული ცხოვრების პირობები აქა და იქ სხვადასხვა იყო და, მაშასადამე, ეს გარემოებაც, ყოველ გვეს გარეშე, ამ განსხვავების ერთი მთავარ მიზეზთაგანია. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ერთს სხვა გარემოებასაც, სახელდობ იმას, რომ ყოველი სახელმწიფო, რაკი ერთჯერ ვეღურ მდგომარეობას თავს აღწევს, მეორეს, მასზე მაღლა მდგომს სახელმწიფოს, სწრაფლ უსწორდება, ვინაიდან თანამედროვე, ნამეტურ ეკონომიკური გულტურა, ერთი სახელმწიფოს ფარგლებში არ ჩერდება, ვინაიდან იგი, გადამდები სენივით მთელ კაცობრიობას ედება, თუ, რა თქმა უნდა, ამ კულტურის გავრცელება განვითარებას სახელმწიფოში რაიმე ხელოვნური ხელის შემშლელი პირობები არ ედობება წინ.—თუ, ვამბობთ, ამ გარემოებას მხედველობაში მივიღებთ, რუსეთის ძალზე ჩამორჩენას მარტო ისტორიული ცხოვრების სხვადასხვაობას ვერ მივაწერთ. აქ ამ ჩამორჩენაზე უმეტესია, სხვა ფაქტორებიც მოქმედობს. ერთი ამ ფაქტორთაგანი ის გახლავს, რომ რუსეთში სახელმწიფო და საზოგადოება ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე პანაკია, ნაცვლათ იმისა, რომ ეს ორივე ორგანო სოციალური ცხოვრების ერთს განუყრელ სხეულს, სილი-

დარულათ მოქმედ ოჯახს, ორს ერთად მოქმედ თანამშრომელს შეადგენდეს.

რუსეთის პოლიტიკური წესწყობილება იმ თვითვე ვერ გულისხმობდა საზოგადოებრივ თვითმოქმედებასა და ინიციატივას. საზოგადოებრივ ენერგიას გზა მუდამ შეკრული ქონდა. საზოგადოებას არას დროს იმდენი თავისუფლება, ისეთი ფართო ასპარეზი მოქმედებისა აოა ქონია, რომ მას ეთქვას—განზრახული ან დაწყებული საქმის წარმატება მხოლოდ ჩემზე კილია, ხელის შემშლელი არავინ მაყავს. და თუ ზოგჯერ, აღორძინების ხანებში, სახელმწიფო უფლებას, საზოგადოებრივი აბოპირებული ტალღების ზემოქმედების გავლენით, ცოტა რამ დაუთმია საზოგადოებისთვის. ოდნავ ძველი ტატიკისთვის გადუხვევია, შემდეგ, —რეაქციის დროს—როდესაც განხლებების ხანას გაუვლია, იგი სინანულში ჩავარდნილა და მოცემული უკანვე წაუღია, იმ შიშისა გამო, რომ ვით თუ საზოგადოებრივ ძალთა თანისუფალმა თვითმოქმედებამ სახელმწიფო ჩაყლაპოს, იმ სახით მაინც, რა სახეც ჩვენთვის ისტორიის გადმოუცია. ასეთი ხანები იყო რუსეთში: მესამოცე წლები თავისი ახალი, მართლაც, შესანიშნავი სასამართლო ანონებით, ერობის ღებულებით, გლეხთა გათავისუფლების აქტით და წარსული გამათავისუფლებელი ხანა, როდესაც, თითქმის, ყოველივემ ცხოვრებაში ძირიან-ფესვიანათ ფერი იცვალა მკირე ხნით.

დაიბ, ძველი, დროგადასული ფორმები პოლიტიკური წესწყობილებისა ვერ ურიგდება ისეთს საზოგადოებრივ მუშაობა-მოღვაწეობას, რომელიც ამ ფორმებს ძირს უთხრის. ამ ძველი ფორმე-

ბის დამცველნი თავისი თვალსაზრისით მართალიც არიან, როდესაც საზოგადოებრივ ძალებს გამოსავალს არ აძლევენ, რომ ყოველ მათ მისწრაფებას თავისუფლებისკენ მიმართულს ძირშივე კლავენ. ბიუროკრატისმი და საზოგადოებრივი ინიციატივა, აბსოლუტისმი და მოქალაქობრივი თავისუფლება ერთიმეორესთან ვერ მოათავსდება ისე, როგორც ერთსა და იმავე ადგილს ფიზიკურათ ვერ თავსდება ორი სავანი. ვინც იმ თვალსაზრისზე დგას, რომ რუსეთის ახლანდელი სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი წესწყობილება, ეს რალაც ღვთის მიერ ნაკურთხი, რალაც ურყვევლი, უცვლელი ისტორიული მემკვიდრეობაა, რუსის სულსა და გულთან თანშეზიდი, ისეთი რამ, რომლის ძირეულათ შეცვლა-შერეკვა ხალხისა და სახელმწიფოს დამღუპველია.—ვინც, ვამბობთ, ასე ფიქრობს, ის, თავისთავად ცხადია, უნდა ებრძოდეს ყოველნაირათ ყოველს ისეთ საზოგადოებრივ თვითმოქმედებას, რომელიც მისი შეხედულებით, ასეთ კატასტროფას ქნის.

და აქი ასეთი ბრძოლა გაწაღებულია ყოველ დარგში, ყველგან რუსეთის საბანებლის ვრცელ ტერიტ რიაზე. ყველგან კონფლიქტი, სადაც კი ორი ძალა—სახელმწიფოსი და საზოგადოებისა—ერთმანეთს ეხლება.

და ეს ასე ხდება, მიუხედავათ იმისა, რომ, როგორც თვით სახელმწიფოს მართველნი აღიარებენ მიზანი, ინტერესები—პირველისა, იგივეა, რაც მეორესი—ხალხის კეთილდღეობა, ნივთიერი თუ გონებრივ-ხელობრივი მისი წარმატება. ეს კია, ღვთის წინაშე, რომ ყოველ მათგანს ეს კეთილდღეობა სულ სხვადასხვა-

ნაირათ ემისი და გზაც მათი ამ კეთილდღეობის დასამყარებლათ სულ სხვადასხვა არის.

სახელმწიფო უფლება საზოგადოებას არ ენდობა იმეტომ, რომ ეს უკანასკნელი, მისი ფიქრით, სხვა მანებელი ტენდენციების მატარებელია. სახელმწიფო უფლება საზოგადოებას ზემოდან დასცქერის, და არა როგორც მის სწორს. მისთვის საზოგადოება იგივე ბრბოა, რომელსაც არც განსაზღვრული მიზანი აქვს, არც გარკვეული პროგრამა მოქმედებისა და არც არავითარი ტაქტი. საზოგადოება მის თვალში საამეკო არსებაა, რომლის ნება-სურვილი, მოქალაქობრივი თავისუფლება მსგელდებული უნდა იყოს საზოგადოება ეს ის ურჩია, რომლის ნებაზეც გაშვება მას სნებას შეეყრის.

ამიტომაც საზოგადოებას, ვითარცა არა მომწიფებულ პიროვნებას, ბევრი რამ აქვს ჩამორთმეული მთავრობის მიერ. ბევრს რამე საზოგადოებისას მთავრობა განაგებს. იგი თითქმის ყველაფერში ერევა, იქაც კი, სადაც საიმისო სრულიად არაფერია, იმას უძღვება, რასაც მეტის წარმატებით ეკრძოთ თუ საზოგადოებრივი ინიც ატივა გაუძღვებოდა. აქ ჩვენ უმთავრესათ ვგულისხმობთ ადგილობრივ საქმეებს, ნამეტურ შორეულ, განაპირა ქვეყნებში—საქანონმდებლო, სააღმსრულებლო, სასამართლო საქმეებს, რომლის ბატონ-პატრონობაც, ერთიანათ გაძლიერა ცენტრალურს ბიუროკრატულ ორგანოებს თავის თავზე მიუღიათ. აღსანიშნავია, რომ სწორეთ ამ ნიადაგზე, საზოგადოებრივ ძალთა გაძლიერების შიშის ნიადაგზე,—აღმოცნდა და აყვავდა რუსეთში ის მოძღვრება უკიდურესი ცენტრალიზმისა, რომელიც ეგზომეფერებს თავისუფალ ეკონომიურსა თუ ეროვ-

ნულ განვითარებას, რომელიც ყოველივეს ცხოველ-მყოფელ, ახალს სასიკვდილო განაწენს უწყრს. არც დამოუკიდებელი მართლმსაჯულება, არც შკოლასა თუ საზოგადოათ სხვა კულტურულ საქმეთა სფეროში ავტონომიური მართვა-გამგეობა, არც კანონმდებლობითი და სარეწმუნოებრივი ავტონომია დღევანდელ მთავრობას არა სწამს, ვინაიდან ყოველივეს ხალხსა და სახელმწიფოს მეტრათა ოცნებაა, ოცნება, რომელიც რეალურ საჭიროებათაგან არ გამომდინარეობს.

უფრო შორსმჭვრეტი და შეგნებული მთავრობა სრულიად ამის წინააღმდეგ ტაქტიკას ადგია შინაურ პოლიტიკაში. კულტურულ სახელმწიფოებში საზოგადოება და მთავრობა ორი სწორედუფლი ბიანა წაწილია ერთი სახელმწიფო ორგანიზმისა. ამის კლასიკური მაგალითი ინლისია, სადაც საზოგადოების თვითმოქმედება, თავისუფლება მხოლოდ იმდენათ არის შეზღუდული, რამდენათაც მას სხვისი თავისუფლება თხოულობს ან რამდენათ იგი ხეობის კანონებს ვერ ეგუება. ამ სწლებებში აქ ყოველი მოქალაქე მოქმედობს ისე, როგორც მას სურს, სწერს ისე, როგორც ფიქრობს, ამბობს იმას, რასაც ფიქრობს, ერთი სიტყვით, ისე ცხოვრობს, როგორც მას ეპრიანება და როგორც მასი ნივთიერი კონკრეტული მდგომარეობა ნებას აძლევს. აქ კერძო ან საზოგადოებრივი ძალებით, ინიციატივით უფრო მეტი კეთდება, ვიდრე ბიუროკრატის ხელით. სახელმწიფოს მთელი შინაური საქმეების წარმოებაში, ყოველივე იმაში, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას შეადგენს, საზოგადოებას თუ მეტი არა მთავრობის

